

რუსუდან ჩოლოყაშვილის ხსოვნას

DOI: <https://doi.org/10.62119/lr.45.2025.10037>



2025 წლის 31 ივლისს ჩვენგან წავიდა კოლეგა, მეგობარი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ფოლკლორისტი რუსუდან ჩოლოყაშვილი.

რუსუდან ჩოლოყაშვილი დაიბადა თბილისში 1950 წლის 3 იანვარს. 1971 წელს მან დაამთავრა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი თურქული ფილოლოგიის განხრით. რუსუდანის ზნეკეთილობა და საქმისადმი ერთგულება განსაზღვრა მისმა ოჯახმა, რომელიც სა-

ამაყო წინაპართა ტრადიციების გამგრძელებელი იყო. მამა გახლდათ კონსტანტინე ჩოლოყაშვილი, ცნობილი ისტორიკოსი, ეთნოლოგი და საზოგადო მოღვაწე, დედა – ქეთევანი, სათნო და ყველასადმი კეთილგანწყობილი ქალბატონი. მათ აღზარდეს ტყუპი და-ძმა – ბიძინა და რუსუდან ჩოლოყაშვილები, ღირსეული მოქალაქეები და მეცნიერები.

რუსუდან ჩოლოყაშვილი 1971 წლიდან მუშაობდა შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილების მეცნიერ-თანამშრომლად, ხოლო 2006 წლიდან ამავე ინსტიტუტის მთავარ მეცნიერ-თანამშრომლად და ფოლკლორის განყოფილების ხელმძღვანელად. იგი ასევე წლების განმავლობაში ეწეოდა აქტიურ პედაგოგიურ საქმიანობას თბილისის მე-6 გიმნაზიაში, ქალთა პედაგოგიურ ინსტიტუტსა და გრ. რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში.

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი იყო რუსუდან ჩოლოყაშვილის მშობლიური გარემო, რომელშიც მან თავისი ცხოვრების მნიშვნელოვანი პერიოდი გაატარა. აქ ქართული ფოლკლორისტიკის ფუძემდებლების ხელმძღვანელობით გაიარა მეცნიერული სკოლა და ჩამოყალიბდა სერიოზულ სპეციალისტად. იგი მუშაობდა ფოლკლორის სხვადასხვა საკითხზე, მაგრამ მისი მთავარი მიზანი საზღაპრო ეპოსის პრობლემების კვლევა იყო. მის კალამს ეკუთვნის მონოგრაფიები: „ზღაპარი და სინამდვილე“ (2009); „ცხოველთა ეპოსი“ (2005) და „უძველეს რწმენა-წარმოდგენათა კვალი

ხალხურ ზღაპრულ ეპოსში“ (2004). მისი რედაქტორობით დაიბეჭდა კრებულები: ანტისაბჭოური სიტყვიერება (2010); მხატვრული აზროვნების ტრანსფორმაციის ფორმები ქართულ ფოლკლორში (2016); 1836-1927 წლების რუსულ პრესაში გამოქვეყნებული ქართული ფოლკლორული მასალის შესწავლა, ნაწილი I (2019); 1836-1927 წლების რუსულ პრესაში გამოქვეყნებული ქართული ფოლკლორული მასალის შესწავლა, ნაწილი II (2020).

იგი თავად იყო ორგანიზატორი და ნაყოფიერად წარმართავდა ინსტიტუტის ფოლკლორისტიკის განყოფილების ყოველწლიურ სამეცნიერო კონფერენციებს. წლების განმავლობაში მისი რედაქტორობით გამოდიოდა სამეცნიერო კრებული „ქართული ფოლკლორი“.

რუსუდან ჩოლოყაშვილს კარგად ესმოდა, რამდენად მნიშვნელოვანია ზეპირსიტყვიერი მასალის შეკრება და კლასიფიკაცია. ქართული ფოლკლორის საკითხების კვლევის გარდა, მისი მთავარი საზრუნავი ტექსტების გამოცემა იყო და ამ საქმეს დიდი ამაგიც დასდო. 2019 წელს მისი ინიციატივით დაიწყო ქართული ხალხური პროზის მრავალტომეულის გამოცემა. ბოლო დრომდე რუდუნებით მუშაობდა ტომების შედგენასა და რედაქტირებაზე. მისი რედაქტირებით დღეისთვის გამოცემულია ქართული ხალხური პროზის ოთხი ტომი: I – „ცხოველთა ზღაპრები“, II – „ამირანიანი“, III – „მითები“, IV – „ეთერიანი“.

ჩემი და რუსუდანის ოჯახების ურთიერთობამ, მეზობლობამ, შემდგომ კი თანამშრომლობამ განსაკუთრებული ურთიერთობა ჩამოგვიყალიბა და უკეთ გამაცნო მისი შინაგანი სამყარო. ჩვენ ყველას დაგვაკლდა კარგი მეცნიერი, ერთგული გულშემატკივარი და თანამზრახველი.

რუსუდან ჩოლოყაშვილმა თავდაუზოგავი ზრუნვით მოიხადა ვალი მშობლების წინაშე და ბურჯად ედგა მომავალ თაობას. მაგრამ მმის ბიძინა ჩოლოყაშვილის გარდაცვალებამ მძიმე დარტყმა მიაყენა, რომელთან გამკლავება მან ვეღარ შეძლო. იგი იყო უხმაურო მუშაკი, კაცთმოყვარე, მეგობრების მოსარჩლე, თანამდგომი და სიკეთის მთესველი. ეს სიკეთე გაუძღვეს მის სულს და დაუმკვიდროს ადგილი იქ, სადაცა მართალნი განისვენებენ.

ქეთევან სიხარულიძე